

## თიიშრაზ ბვანცელაძე

თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### საქართველოდან გადასახლებულ აფხაზთა განსახლების გეოგრაფია თურქეთის რესპუბლიკაში

ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) ტერიტორიაზე 1864 წლის 21 მაისამდე, ანუ რუსეთის იმპერიის მიერ ამ მხარის დაპყრობამდე, ცხოვრობდნენ ორი ეთნოსის წარმომადგენლები: აფხაზები და ქართველები.

1817-1859 წლებში რუსეთი ხანგრძლივ და დაუნდობელ ომს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის დამთავრებამდეც თავს იკავებდა აფხაზეთის დაპყრობისაგან, თუმცა მხარეში იდგა რუსული ჯარის ნაწილები, რომლებიც დროდადრო აჩვენებდნენ აფხაზებს თავიანთ სიძლიერეს, როცა ეს უკანასკნელნი ბედავდნენ რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლას, ან ჩერქეზთა და უბიხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის მხარდაჭერას. მაგალითად, რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტ, შემდგომში კავკასიის მთავარმმართველის **გვგენი გოლოვინის** 1841 წლის 23 იანვრის პატაკის ტექსტიდან ირკვევა, რომ 1840 წლის დეკემბერში წებელდისა და დალის თემების აფხაზური მოსახლეობა აჯანყდა რუსების წინააღმდეგ და სცადა მხარი დაეჭირა უბიხებისა და აპჭიფსის აფხაზური თემის ბრძოლისათვის. რუსული ჯარის რაზმი პოლკოვნიკ **მურავიოვის** მეთაურობით შეიჭრა ხეობაში. სწორედ ამ დროს მურავიოვმა წამოაყენა გეგმა დალის ხეობის რუსებით დასახლების შესახებ. აი, რას წერს უკვე ხსენებული პატაკის ავტორი ე. გოლოვინი:

“...ორ კვირაში დალი მთლიანად დამორჩილებული, გაცამტვერებული და მოსახლეობისაგან დაცლილია და ყოველივე ამისი საფასური 10 მოკლული და 20 დაჭრილი იყო, მათ შორის რუსი მხოლოდ 6 ჯარისკაცი იყო...”

რაც შეეხება პოლკოვნიკ მურავიოვის მოსაზრებას დალის ხეო-

ბის რუსებით დასახლების შესახებ, იგი მოითხოვს დიდი ყურადღებით განხილვას, ვინაიდან ამ მხარეს თავს ესხმიან ყარაჩაელები და სხვა მათი მეზობელი მტრულად განწყობილი ტომები...“ (გამახარია...1997: 318).

რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ წარმოებული დაღესტნისა და ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მარცხმა და მათი ლიდერის **შამილის** ტყვედ ჩაბარებამ 1859 წლის 25 აგვისტოს საშუალება მისცა რუსეთს, მთელი ძალები გადმოესროლა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მცხოვრები ჩერქეზების, აბაზების, ყარაჩაელებისა და მთიელი აფხაზების წინააღმდეგ. ამ დროიდან რუსეთის ხელისუფლება უკვე იწყებს კონკრეტული გეგმის შემუშავებას იმისათვის, რათა სტრატეგიულად მნიშვნელოვან აფხაზეთში შექმნას მისთვის სასურველი ეთნო-დემოგრაფიული ვითარება და ოსმალეთის იმპერიის შესაძლო შემოტევის შემთხვევისათვის გამორიცხოს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა ოსმალეთის მიმართ. მაგალითად, რუსეთის იმპერატორის ბიძამ (მამის ძმამ) **მიხეილ რომანოვმა**, რომელიც დანიშნული იყო კავკასიის მეფისნაცვლად, რუსეთ-კავკასიის ომის დასრულებამდე 2 თვით ადრე იმპერატორს დასამტკიცებლად გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო აფხაზეთის მთავრი **სმიხეილ შარვაშიძის** გადაყენება, სამთავროს გაუქმება და რუსეთის ნაწილად გადაქცევა. იქვე მეფისნაცვალს იმპერატორს სთავაზობდა კონკრეტულ გეგმას, რომელიც შემდეგ პუნქტებსაც შეიცავდა:

“1) დავითანხმობით მთავარი და მისი მემკვიდრე მფლობელობაზე უარის სათქმელად;

2) მთავარსა და მის მემკვიდრეს დაენიშნოს მათი უზრუნველყოფისათვის საკმარისი ანაზღაურება;

3) აფხაზეთი გადაიქცეს სამხედრო ოლქად..., რომელიც უნდა დაემორჩილოს განსაკუთრებულ უფროსს...;

4) თუ თავისუფალი მიწების რაოდენობა მოგვცემს საშუალებას, [ზღვის] გასწვრივ ენგურის შესართავამდე შევქმნათ კაზაკების დასახლებები, რომლებიც მდინარე ბზიფის [ხეობის] დასახლებებთან ერთად წარმოქმნიდნენ აფხაზეთის კაზაკთა ჯარს აფხაზეთის სამხედრო განყოფილების უფროსის მეთაურობით...“ (გამახარია...1997: 333).

ეს გეგმა იმპერატორმა დაამტკიცა და მოგვიანებით განხორციელდა კიდევაც მცირედი ცვლილებებით:

1864 წლის 21 მაისს დასრულდა რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და ახლანდელ ქალაქ სოჭთან ახლოს, გუბაადვის მინდორზე გაიმართა სამხედრო აღლუმი<sup>126</sup>. იმავე წლის ივლისის დასაწყისში აფხაზეთის მფლობელ მთავარს მიხეილ შარვაშიძეს ჩამოართვეს მმართველობის უფლება, გააუქმეს აფხაზეთის სამთავრო, ხოლო მ. შარვაშიძე 7 ნოემბერს გადაიყვანეს რუსეთის სიღრმეში, ქალაქ ვორონეჟში, სადაც იგი გარდაიცვალა 1866 წელს.

ამ ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ **რუსეთს სჭირდებოდა არა აფხაზეთის მოსახლეობა, არამედ მხოლოდ ტერიტორია და აფხაზი ხალხის ბედი წინასწარ უკვე გადაწყვეტილი იყო.** დასახლებული გეგმის ასრულებას საბაზი სჭირდებოდა და 1866 წელს ისიც გაჩნდა:

იმის გამო, რომ რუსი მოხელეები პატივს არ სცემდნენ აფხაზთა ეროვნულ ღირსებებს და ამცირებდნენ მათ, აფხაზური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გაბედა აჯანყება რუსული მმართველობის წინააღმდეგ. რუსებმა აჯანყება სისხლში ჩაახშეს. მათ გამოიყენეს ის ფაქტი, რომ აფხაზთა ნაწილი სუნიტ მაჰმადიანად თვლიდა თავს და მოსთხოვეს აფხაზებს, დაეტოვებინათ სამშობლო და გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. საქმეში ოსმალეთიდან ჩამოსული მოღებიც ჩაერივნენ, რომლებიც იმავეს მოუწოდებდნენ აფხაზებს. ამ შემთხვევაში ოსმალეთი დაინტერესებული იყო იმით, რომ ანტირუსულად განწყობილი კავკასიელების ქომაგად წარმოეჩინა თავი, მოეპოვებინა მათი ნდობა, დაესახლებინა მუჰაჯირები იმ ადგილებში, სადაც სახელმწიფოს ერთიანობას საფრთხე ემუქრებოდა მოჯანყე, ან ნაკლებად სანდო არათურქული მოსახლეობისაგან. ოსმალეთს 1859 და 1864 წლებში უკვე ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთის მიერ გაძევებული დაღესტნელების, ჩეჩნების, ჩერქეზების, უბიხებისა და სხვათა მიღება-დაბინავებისა.

კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსმა **დ. სტაროსელსკიმ** ოსმალეთში აფხაზთა განდევნის დეტალური გეგმა 1866 წლის

<sup>126</sup> მოგვიანებით ამ ადგილს რუსებმა **კრასნაია პოლიანა** — “ლამაზი მინდორი“ უწოდეს, ხოლო 2014 წლის 7-23 თებერვალს აქ ზამთრის ოლიმპიადა გამართეს.

27 ოქტომბერს წარუდგინა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს. ამ გეგმის მთავარი დებულება ასე უღერდა:

“არსებობს მხოლოდ ერთადერთი საშუალება სოხუმის სამხედრო ოლქის მხრიდან ჩვენდამი მომართული ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად — ესაა აფხაზეთის მცხოვრებთა თურქეთში გასახლება“ (ხორავა 2013: 65).

იმავე 1866 წლის ნოემბერში იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ** წერილობით გამოთქვა თანხმობა, რათა პირველი შესაძლებლობისთანავე გაესახლებინათ საქართველოდან თურქეთში აფხაზეთის მაჰმადიანი მოსახლეობა. ამის შემდგომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაავალა რუსეთის ელჩს თურქეთში, გრაფ **ნ. იგნატიევს**, დაეწყო მოლაპარაკება პორტასთან. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ალი-ფაშასთან** მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. მხარეებმა შეათანხმეს რამდენიმე მთავარი პირობა, რომელთაგან არსებითი იყო შემდეგი:

1. თურქეთის ხელისუფლებას საქართველოდან გაძევებული აფხაზი მუჰაჯირები არ უნდა დაესახლებინა რუსეთის საზღვრის სიახლოვეს;

2. მუჰაჯირებს ეკრძალებოდათ სამშობლოში დაბრუნება;

3. რუსეთს სურდა, გაეძევებინა 4 500 აფხაზური ოჯახი, მაგრამ პორტა დათანხმდა მხოლოდ 4 000 ოჯახის მიღებას.

მუჰაჯირთა პირველი მცირე ნაკადი, 218 კაცისაგან შემდგარი 49 ოჯახი იმ დროს ოსმალეთში შემავალ ბათუმში 1867 წლის 6 აპრილს გაემგზავრა სამი გემით. მასობრივი მუჰაჯირობა კი დაიწყო იმავე თვის მიწურულს (ხორავა 2013: 66-67).

იმავე 1867 წელს აფხაზთა განდევნის პროცესისათვის ორგანიზებული ხასიათის მისაცემად რუსმა მოხელეებმა სოფელ-სოფელ დაიწყეს წამსვლელთა სიების შედგენა. მუჰაჯირთა საერთო რაოდენობამ 3 358 ოჯახი, ანუ 19 342 კაცი შეადგინა (ხორავა 2004: დანართი).

არსებობს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზთა ერთ ნაწილს არ სურდა სამშობლოდან გადახვეწა. მათგან ზოგიერთი ქრისტიანადაც კი ინათლებოდა, რომ თავი დაეცვა ოსმალეთში გადასახლებისაგან. ისიც ხდებოდა, რომ სიებში ოჯახები შეჰყავდათ მათ დაუკითხავად და ა.შ. მაგალითად, ქართული **გაზეთი „დროე-**

ბა“ 1867 წლის ივნისში წერდა, რომ აფხაზები მეტად დამწუხრებულნი არიან, ძალით გამოდევნეს სახლებიდან ჭლოუსა და ჯგერდის მცხოვრებნი, რომელთაც არ სურდათ სხვა ქვეყანაში წასვლა. აფხაზები ძალიან ემადლიერებოდნენ ბზიფის მაზრის ქართველ უფროსს **დიმიტრი ჭავჭავაძეს**, რომელიც უხსნიდა მათ, უმჯობესია რუსების მმართველობის ქვეშ დარჩეთ, ვიდრე სხვის ქვეყანაში წახვიდეთო (“დროება“ 1867: №23).

აფხაზთა პირველი მასობრივი მუჰაჯირობა დასრულდა 1867 წლის ივნისის დასაწყისში. მეორე, უფრო მასობრივი მუჰაჯირობა აფხაზურ მოსახლეობას მოუწყვეს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, როცა აფხაზური მოსახლეობის ერთმა ნაწილმა იარაღით დაუჭირა მხარი აფხაზეთში გადმოსხმულ თურქულ სამხედრო დესანტს. პროცესები ამ შემთხვევაშიც ისევე წარიმართა, როგორც 1867 წელს. ამ ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე III-მ** 1880 წელს ოფიციალურად მიანიჭა **დამნაშავე ხალხის სტატუსი** აფხაზებს და მოსთხოვა მათ, ზღვის ნაპირიდან 25 ვერსის სიღრმეში მდებარე ყველა სოფლიდან აყრა და ოსმალეთში გადასახლება. რუსეთი ამჯერადაც შეუთანხმდა ოსმალეთს იმის შესახებ, რომ არ დაესახლებინა აფხაზები რუსეთის საზღვრის ახლოს, რაც თურქეთმა შეასრულა (ვრცლად იხ.: ძიძარია 1982).

მიუხედავად შეთანხმებისა, როგორც 1867, ისე 1878-1880 წლებში ოსმალეთის ხელისუფლება აფხაზ მუჰაჯირებს რუსეთის საზღვრებთან ახლოსაც ასახლებდა. მაგალითად, ქალაქ ბათუმსა და მის მეზობლად მდებარე რამდენიმე სოფელში (ფერია, ანვისა, სალიბაური, მნათობი, სამება...) ამჟამადაც ცხოვრობენ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომელთა წინაპრებიც ძირითადად 1867 წელს დასახლდნენ აქ. მათ იციან, კონკრეტულად აფხაზეთის რომელი სოფლიდან იყვნენ მათი წინაპრები და ისიც ახსოვთ, რომ ერთი ნაწილი ჯერ თურქეთის სიღრმეში ჩაასახლეს, მაგრამ იმ იმედით, რომ ბათუმში მოქმედი რუსეთის საკონსულო მათ სამშობლოში დაბრუნების ნებას მისცემდა, ისინი აჭარაში მოვიდნენ და რუსებისაგან უარის მიღების მერე აქვე დასახლდნენ (ვრცლად იხ.: გვანცელაძე, ტაბიძე... 2011).

**1867 და 1878-1880 წლების მასობრივი მუჰაჯირობის დროს ბათუმში დასახლებულებზე გაცილებით მეტი აფხაზი**

დაბინავდა ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილებში მდებარე მხარეებში, აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ბულგარეთში, სერბეთში...), სირიაში და ა.შ.

იმ შემთხვევებში, როცა აფხაზები ესახლებოდნენ მანამდე უკაცრიელ ტერიტორიებზე, ახალ სოფლებს ისინი ან აფხაზეთის იმ სოფელთა სახელებს არქმევდნენ, საიდანაც წამოვიდნენ, ანდა სოფლის სახელწოდებაში იყენებდნენ რომელიმე აფხაზური გვარის დასახელებას, მოცემული ჯგუფის წინამძღოლის სახელს და სხვ.

მუჰაჯირთა სოფლების სახელთა პირველ ჯგუფს განეკუთვნება: **ააცი, ანხვა, გუფ, ჯგერდა, ჭლოუ, დალ, აჭანდარა, ვარჩა, ეშირა, აბჟაყვა, გუმა, წაბალ, აკაფა, ფსირძხა...**;

სოფელთა სახელების მეორე ჯგუფს განეკუთვნება: **ბგანაა** “ბგანბები“, **ცგუაა** “ცგუები“, **გუმაა** “გუმელები“, **ლაკრაა** “ლაკრბები“, **ტვან** იქითა “ტვანბას სოფელი“, **აუბლაა** რქითა “უბლაგების სოფელი“, **აშვ** იქითა “აშუბას სოფელი“, **თაფშ** იქითა “თაფშის სოფელი“, **კადირ** იქითა “კადირის სოფელი“, **აჯბა** იქითა “აჯბას სოფელი“, **ბაღჰაბლე** “ბაღბას უბანი“, **დარიყვაქით** “დარიყვას სოფელი“ და სხვ. (ძიარია 1982:287-289; ხორავა 2013: 69; <http://www.cerkes.net/bilgi-deposu/turkiye-deki-abhaz-koyleri-en-guncel-liste-t13205.html>). საინტერესოა, რომ ზოგმა ამ სოფელმა დღემდე შეინარჩუნა ეს სახელები, ოღონდ მხოლოდ აფხაზურ ენაზე მეტყველების დროს.

ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუჰაჯირთა შთამომავლები მოზრდილ ჯგუფებად სახლობენ სხვადასხვა სიდიდის ქალაქებში: **ანკარაში, სტამბოლში, იზმირში, საქარიაში, ქაისერში, ბილგეჩიქში, დუზჯეში...** და 200-მდე სოფელში, რომლებიც მდებარეობენადახანას, ამასიის, ბალიქესირის, ბილგეჩიქის, ბურსის, დუზჯეს, ესქიშეჰირის, ზონგულდაქის, თოქათის, იოზგათის, მანისას, მუღლას, ორდუს, საქარიის, სამსუნის, სივამის, სინოპის, ქაისერის, ქოჯაელის, ქუთაჰიის, ჩორუმის პროვინციებში (ჩირიკბა 1994).

მუჰაჯირთა შთამომავალ აფხაზებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური იდენტობა. მათმა დიდმა ნაწილმა კარგად იცის დედაენა და იცავს აფხაზურ ტრადიციულ კულტურას: ზეპირსიტყვიერ

და მუსიკალურ ფოლკლორს, ცეკვებს, სამოსს, დასახლების ფორმებს და მცირე ზომის არქიტექტურას, ეტიკეტს, ადათ-წესებს.

სამშობლოდან გასახლების დროს აფხაზთა დიდი ნაწილი არ იყო ღრმად მორწმუნე მაჰმადიანი: მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისლამის ელემენტარული მოთხოვნებიც კი არ იცოდა და უფრო მეტ პატივს მიაგებდა წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს, ხოლო ერთი მცირე ნაწილი ქრისტიანად თვლიდა თავს, თუმცა არც ქრისტიანობის მოთხოვნებს იცავდნენ. განსხვავებით თავიანთი მუჰაჯირი წინაპრებისაგან, მუჰაჯირთა ამჟამინდელი შთამომავლები უკვე მორწმუნე სუნიტი მაჰმადიანები არიან, რაც იმის შედეგია, რომ მათზე გავლენა მოახდინა იმ ქვეყანაში ცხოვრებამ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მტკიცედ იცავს სუნიტური მიმართულების ისლამს.

საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზების ნაწილი ცხოვრობს იმ სოფლებში, სადაც ბინადრობენ ქართველებიც. დავასახელებთ ზოგიერთ ასეთ სოფელს: ბალაბანი, აჯისუ, მაშუქიე (ქოჯაელის პროვინცია), იენიქენთი (ორდუს პროვინცია), აჯისუ, ქარაფინარი, ქურთქოი, იანიქქოი, სარიერი (საქარიის პროვინცია) და სხვანი.

მართალია, მუჰაჯირთა შთამომავალი აფხაზები ამჟამად თურქულ გვარსახელებს ატარებენ, მაგრამ მათმა უმრავლესობამ იცის თავიანთ წინაპართა გვარსახელებიც, რომელთა შორის არცთუ ისე ცოტაა ქართული წარმოშობის გვარები.

მაგალითად, მუჰაჯირთა წინაპრების წმინდა აფხაზური გვარსახელებია: ახბა, ქაბბა, (ა)ჟიბა, კვაძბა, წვიჯბა, ამიჭბა, ასვბა, კილბა, ამგიალ-იფა, აბუნბა, არგუნი, ავიძბა, ძინვბა, ზუნბა, ცუგბა, ათეიბა, ბიჟნოვა, ბარციცი, კუპალბა, გუმბა, ფალბა, აცვიბა, არძინბა, ტვანბა, კიაცვბა, ხიქუბა, შამბა, ცვიშბა, ძიკუტ-იფა, ბაზბა, თრიშბა, აურ-იფა, თარბა, აყუსბა, აძინბა, ათეიბა, აბაბა, ბაჟვი, იაშბა // ეშბა, ხილფანწვა-იფა, აგუ-მაა, აიეგბა, მაგბა, ბგანბა, გვასბა, დარიმბა, კუბზაა, ყალდი, ხიშბა, ჰაგბა, ქეცბა, აშხარაადა ა.შ.;

ქართული წარმომავლობის გვარსახელებია: ჩქვანია, ხვაჭაა, პაპაა, გაბლია, საღარია, ოსია, ყურუა, ვათარ-იფა > ვათირბა, კურკუნია, ნახარია, ფასანია, მატუა, ბრისკილი, ბეიგვა, გამსანია, გულია, ლამია, თანია, ვარდანია, ხურხუმალი, ჭათანაა,

**კვარცხელია, მშვიდაა, ქარდია, კობახია // კობახია, გაბნია, გაბრია, იასაა, ლოგუა // ლაგუა, საქანია, ჰარაზია, წკუა, ჭალაკუა, ბეღია, ფუჩქურია, ციცხუა** და მრ. სხვ.

თურქეთში მოსახლე აფხაზთა მეტყველება ენათმეცნიერთათვის ძალზე საინტერესოა, ვინაიდან მუჰაჯირებში გავრცელებულია აფხაზური ენის ის ქვესახეობები, რომლებზეც აფხაზეთში მუჰაჯირობის შემდეგ აღარავინ ლაპარაკობს. ეს არის **ჩიქეთის, აბუყყვის, წებელის, დალის, გუმას, ფსჰუს, აჰჭიფსისა** და სხვა მხარეთა სამეტყველო კოდები, რომელთა მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აფხაზური ენის, ისე მისი მონათესავე ენების, მათ შორის ქართულის ღრმად შესწავლისათვის.

### ლიტერატურა

გამახარია, გოგია, 1997 — Гамахария Дж., Гогия Б. Абхазия — историческая область Грузии (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси;

გვანცელაძე, ტაბიძე, გითოლენდია, ჭაავა, 2011 — Gvantse-ladze T., Tabidze M., Gitolendia T., Chaava S. Basic Aspects of Identity of the Abkhazians Living in Ajaria. Tbilisi, 2011;

“დროება“, 1867, №23 — გაზეთი „დროება“. 1867 წლის №23;

ჩირიკბა, 1994 — Chirikba V. A. Distribution of Abkhaz dialects in Turkey. Proceedings of the Conference on North-west Caucasian Linguistics, 10-12 October 1994. <http://searchworks.stanford.edu/view/4542926>;

ძიძარია, 1982 — Дзидзария Г.А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX века. Второе, дополненное издание. Сухуми, 1982;

<http://www.cerkes.net/bilgi-deposu/turkiye-deki-abhaz-koyleri-en-guncel-liste-t13205.html>.



PROF. DR. TEIMURAZ GVATSELADZE

*Gürcistan Patrikhanesi Aziz Andria Pirveltsodebuli Gürcü Ünivesitesi*

## **Gürcistan'dan Türkiye'de Göç Eden Abhazların Yerleşimleri**

1867 ve 1877-1880 yıllarında Rusya İmparatorluğu tarafından Türkiye'ye binlerce Abaza göç ettirildi. Osmanlı Hükümeti Abaza muhacirlerini sadece bugünkü Türkiye Cumhuriyeti topraklarında değil o zamanki Osmanlı İmparatorluğu sınırları içinde yer alan ülkelere de – Suriye'de, Ürdün'de, Bulgaristan'da, Makedonya'da vb -yerleştirdi. Fakat Abazaların büyük bir bölümü Kuzey-Batı ve Batı Anadolu bölgelerinde kaldılar. Onların torunları Amasya, Düzce, Zonguldak, Kocaeli, Ordu, Sakarya, Samsun, Sinop, Bilecik, Bursa, Kutahya, Eskişehir illerinde ve 200'den fazla köyünde yaşıyorlar.

Muhacir Abazaların torunları etnik bilinçlerini koruyabildiler. Çoğu Abazaca biliyor ve geleneksel kültürü – sözlü ve müzikal folklorü, dansları, giyimleri, yerleşim tarzları, etiketi, adetleri\_ koruyor.

Topraklarından ayrıldıkları zaman Abazaların çoğu dindar müslüman değildi. Onların çoğu İslamın basit temellerini bile bilmiyordu ve daha çok putperestliğe inanıyordu. Az bir kısmı hristiyan olduğunu söyleyip hristiyanlığın kurallarına da uymuyordu. Muhacir dedelerinden farklı olan bugünkü Abazalar dindar müslümanlardır.

Dikkat çeken diğer bir olgu: Türkiye Abazalarının bir kısmını Gürcülerin oturduğu köylerde yaşıyor olmasıdır, fakat onlarla ilişkilerinde problemler yoktur çünkü onların ilişkilerinde üçüncü güçkarışmıyor.

Türkiye'de yaşayan Abazaların dili dilbilimciler için çok ilgi çekicidir, çünkü muhacirlerde yaygın olan lehçeler Abazya'da muhacirlikten sonra konuşulmuyor. Bunlar Abjakva, Tsebeli, Guma, Fshu, Ahçipsi ve diğer bölgelerin lehçeleridir. Bunların incelenmesi hem Abazaca, hem Gürcüceyi kapsayan diğer akraba dillerin öğrenilmesi için çok önemlidir.